პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 17 ნოემბერი, 1944 წ. № 231 (7184). ფასი 20 კაპ.

ჩვენი ინტელიგენცია გაბედულად მიდის ნოვატორობის გზით ტექნიკისა და კულტურის დარგში, წარმატებით ავითარებს თანამედროვე მეცნიერებას, შემოქმედებითად იყენებს მის მიღწევებს წითელი არმიისათვის საჭირო წარმოებაში. საბჭოთა ინტელიგენციამ თავისი შემოქმედებითი შრომით ფასდაუდებელი განძი შეიტანა მტრის განადგურების საქმეში.

ი. სტალინი

შეჯიბრება წლიური გეგმების ვადამდე შესრულებისათვის

Დიდი სტალინის ისტორიული საოქტომბრო მოხსენებისა და ბრძანების ბრძნულ სიტყვებში განსახიერება ჰპოვა საბჭოთა ხალხის მამაცობამ და გმირობამ სამამულო ომში, მისმა მზადყოფნამ ყველაფერი გააკეთოს ჰიტლერულ გერმანიაზე სრული და საბოლოო გამარჯვების მალე მისაღწევად. მუშების, გლეხების, ინტელიგენციის თავდადებული მუშაობის იმ მაღალმა შეფასებამ, რომელიც ამხანაგმა სტალინმა მოგვცა, საბჭოთა ადამიანებში დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

უფრო მძლავრად გაისმა საბჭოთა სამშობლოსათვის თავდადების ჰიმნი ფაბრიკა-ქარხნებსა და მაღაროებში, სოციალისტურ მინდვრებზე და სამეცნიერო ლაბორატორიებში!

უფრო მეტი ძალა მიეცა შრომის ფრონტის მებრძოლებს — წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი და ახალი გამარჯვებებით შეეგებონ 1945 წელს!

უფრო მძლავრად გაიშალა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება მთელს სახალხო მეურნეობაში წითელი არმიის, ფრონტის დასახმარებლად!

უფრო მეტი ძალით გაისმა დიდი სამამულო ომის ფრონტზე საბჭოთა პატრიოტების გმირული ხმა — დაჩქარონ ჰიტლერული მხეცის განადგურება მის საკუთარ ბუნაგში!

გასული წელი წითელი არმიის უდიდესი გამარჯვებებით აღინიშნა სწორედ იმიტომ, რომ უმაგალითო იყო სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ჩვენი საბჭოური მეურნეობის აღმავლობა. ათი გმირული დარტყმა მტრის წინააღმდეგ — ლენინგრადთან და ნოვგოროდთან, მდინარე ბუგზე, ყირიმისა და კარელიის რაიონებში, ვიტებსკთან, ბობრუისკთან და მოგილიოვთან, დასავლეთ უკრაინისა და კიშინიოვისის რაიონებში, ბალტიისპირეთში, უნგრეთის რაიონში, ჩრდილოეთ ფინეთში — წითელი არმიის უმაგალითო გამარჯვებებით დამთავრდა. გასული წლის მანძილზე წითელი არმიის ამ ძირითად ოპერაციებს შედეგად მოჰყვა ჩვენი ქვეყნის ფაშისტურ გერმანელთა ჯარების განდევნა.

თავისი ბრძენი ბელადის მოწოდებას იმის შესახებ, რომ **„ახლა წითელ არმიას რჩება თავისი უკანასკნელი, საბოლოო მისია: ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად დაამთავროს გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურების საქმე, მოსპოს ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში და გაპარჯვების დროშა აფრიალოს ბერლინში“**, — მთელი ხალხი უპასუხებს დიდი პატრიოტული აღმავლობით. შრომითი საგმირო საქმეებით საბჭოთა სამშობლოს დიდებისა და მტერზე სრული გამარჯვებისათვის.

ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევის წინ საბჭოთა ზურგის ადამიანები გამოდიან მრავალ დარგში ახალი პატრიოტული თაოსნობით. ბელადის მოხსენების პასუხად ისინი კისრულობენ ახალ შრომითს საბრძოლო ვალდებულებებს.

დიდი სტალინის მოხსენებას პატრიოტული თაოსნობით უპასუხეს მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის კომბინატების მეტალურგებმა. მათ საბჭოთა კავშირის მეტალურგებს მოწოდებით მიმართეს — კიდევ უფრო მეტად დაძაბონ ძალები, გადალახონ სიძნელეები და მისცენ ფრონტს ყველაფერი, რაც საჭიროა მტერზე საბოლოო გამარჯვების მისაღწევად.

სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის კომბინატების მეტალურგთა ამ პატრიოტულ თაოსნობას უდიდესი აღფრთოვანებით დაუჭირეს მხარი მთელი საბჭოთა ქვეყნის მეტალურგიებმა. მას ერთსულოვნად გამოეხმაურნენ საბჭოთა საქართველოს მეტალურგები, რომლებიც მთელ ძალებს ძაბავენ მეტი და მაღალხარისხოვანი ლითონის გამოსაშვებად.

უდიდესია ჩვენი მშობლიური ბელადის ბრძნული სიტყვების ძალა!

საბჭოთა საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, რკინიგზის ტრანსპორტის დიდი აღმავლობის დღეებში მთელი ძალით ჩაღდება საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოსაშვებად, სასოფლო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესასრულებლად, ფრონტისათვის მეტი საჭურვლისა და სურსათის მისაწოდებლად.

თბილისის კალინინის სახელობის ქარხნის კოლექტივმა ამხანაგ სტალინის მოხსენების პასუხად იკისრა წლიური გეგმა შეასრულოს 15 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გამოუშვას 250 ათასი მანეთის პროდუქცია. ამ ვალდებულებას კალინინელები წარმატებით ანაღდებენ. სტახანოველი ზეინკალი პ. ხუციშვილი დღიურად ოთხხუთ ნორმას ასრულებს. ასევე წარმატებით მუშაობენ მღარავი ს. პანინი, ხარატი ნ. პალიარსკი და შემდუღებელი ნ. რასტი.

დიდი შრომითი აღმავლობაა თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში. აქ სტახანოველმა მჭედელმა ვ. კორძაძემ გეგმის 700 პროცენტით შესრულება იკისრა, მაგრამ ბელადის მოხსენების პასუხად იგი 800-1.000 პროცენტით ანაღდებს დავალებას. მეყალიბე ი. ძირზოევი ნაცვლად 500 პროცენტისა დღიურად 11-12 ნორმას იძლევა.

ასეთია ის დიდი შრომითი აღმავლობა, რაც ამხანაგ სტალინის ისტორიულმა მოხსენებამ და ბრძანებამ გამოიწვია შრომის ფრონტზე.

მაგნიტოგორსკელი და კუზნეცკელი მეტალურგების მოწოდებას — გაიშალოს სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება — ეხმაურება საბჭოთა საქართველოს საწარმოთა ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი. ამ მოწოდებას საქართველოს მშრომელები აფასებენ, როგორც მთელი საბჭოთა ხალხის პატრიოტული გრძნობებისა და შრომითი მამაცობის მკაფიო გამოხატულებას. მასში ისინი ხედავენ მთელი საბჭოთა ხალხის გადაწყვეტილებას — ყველაფერი გააკეთოს ფრონტისათვის, მტერზე საბოლოო გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ **„ამიერიდან და სამუდამოდ ჩვენი მიწა-წყალი თავისუფალია ჰიტლერული სიბილწისაგან“**. მათ იციან, რომ წინ დარჩა უკანასკნელი, გადამწყვეტი დარტყმა მტერზე, რათა აღიგავოს პირისაგან მიწისა ჰიტლერული სიბილწე. ამ ამოცანას წითელი არმია წარმატებით განახორციელებს ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად. მაგრამ ამ უდიდესი ისტორიული მისიის შესასრულებლად საჭიროა ძალთა ახალი დაძაბვა, ზურგში ახალი შრომითი საგმირო საქმეები, ყველა ჩვენი რესურსების მობილიზაცია წითელი არმიის დასახმარებლად. საბჭოთა ადამიანებმა ეს იციან და, დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ისტორიული საოქტომბრო მოხსენებითა და ბრძანებით აღფრთოვანებულნი, ისინი ყველაფერს გააკეთებენ ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმიის დასახმარებლად.

მაშ დაე მთელი ძალით გაჩაღდეს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ჩვენს სახალხო მეურნეობაში ფრონტის დასახმარებლად!

დიდი ბელადის მოხსენიბის პასუხად ნაკისრი ვალდებულებანი შეესრულოთ წარმატებით, მივცეთ ფრონტსა და ქვეყანას ყველაფერი, რაც საჭიროა მტრის სრული განადგურებისათვის!

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინის** ისტორიულ საოქტომბრო მოწოდებას ეუპასუხოთ ახალი საგმირო საქმეებით ფრონტზე და ზურგში, დავაჩქაროთ ჩვენი გამარჯვების დროშის აფრიალება ბერლინში!

ССР КАВШИРИ, МЕДИЦИНИС МЕЦНИЕРЕБАТА АКАДЕМИИ, НАМДВИЛИ ГЕВРЕБИ

ССР КАВШИРИС САХАЛХО КОМИСАРТА САБЧОС ДАДГЕНИЛЕБИТ ШЕКМНИЛИА ССР КАВШИРИС МЕДИЦИНИС МЕЦНИЕРЕБАТА АКАДЕМИА

ССР კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ ССР კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის ნამდვილ წევრთა წოდება დაუმტკიცა ა. ი. აბრიკოსოვს, ი. ს. ბერიტაშვილს, ა. ა. ბოგომოლეცს, ნ. ნ. ბურდენკოს, ი. ი. ჯანელიძეს, ა. ა. ზავარზინს, ბ. ი. ზბარსკის, ლ. ა. ორბელს, ა. ვ. პალადინს, ი. ო. პარნასს, ო. ნ. პოდვისოცკაიას, ი. პ. რაზენკოვს, ა. გ. სალინს, ნ. ა. სემაშკოს, ა. დ. სპერანსკის, ნ. დ. სტრაუსკოს, ვ. ნ. ტინკოვს, ვ. პ. ფილატოვს, ლ. ხ. შტერნს, ს. ს. იუდინს და სხვებს, სულ 60 კაცს.

* * *

ССР კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარმა—ССР კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საორგანიზაციო პიროვნ თავმჯდომარემ ამხ. გ. ა. მიტერევმა საკვლევის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ССР კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის ნამდვილ წევრთა წოდება დაუმტკიცა ჩვენი ქვეყნის სამედიცინო აზროვნების 60 საუკეთესო გამოჩენილ წარმომადგენელს. მათ შორის 16 კაცი ССР კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და წევრი-კორესპონდენტია. თვითეული ახალი აკადემიკოსის სახელი ინუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების სახელოვანი საქმეებისა და მის მიღწევების წარმოდგენასთან.

დეკემბრის დამდეგს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საორგანიზაციო ბიუროო საერთო კრებას იწვევს. პირველ სესიაზე შესდგება აკადემიის პრეზიდიუმისა და განყოფილებათა ბიუროების არჩევნები, დამტკიცებულ იქნებიან ინსტიტუტთა დირექტორები, დაწესდება ვაკანსიები ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების დამატებითი არჩევნებისათვის. საერთო კრებაზე მოსმენილ იქნება მთელი რიგი სამეცნიერო მოხსენებები. (საკვლევი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

15 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

15 ნოემბრის განმავლობაში უნგრეთში ჩვენმა ჯარებმა ბრძოლით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ია ს ბ ე რ ი ნ ი, აგრეთვე დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ს ე დ ე რ კ ე ნ ი, კ ე რ ე მ ი, ე მ ე დ ი, ხ ა რ შ ა ნ ი, ვ ა ტ ა, ა ბ რ ა ნ ი, დ ო რ მ ა ნ დ ი, ა ტ ა ნ ი, ე რ დ ე ტ ე ლ ე კ ი, ხ ე ვ ე შ ი, ბ ო ც ო ნ ა დ ი, ტ ა რ ნ ა ე რ შ ი, ი ა ს დ ო ქ ვ ა, ი ა კ ო ხ ა ლ ვ ა, ი ს ა-დ ი ე რ დ ი, ტ ო-ა ლ მ ა შ ი, ტ ა პ ი ო-ს ე ჩ ე, კ ო კ ა, ტ ა პ ი ო-ზ ი ო ლ ი, ტ ა პ ი ო-შ ა პ ი, მ ე ნ დ ე და რკინიგზის სადგურები ე მ ე დ ი, ხ ე ვ ე შ ი, ბ ა ჭ ო მ ა ი ო რ ი, ე რ დ ე ტ ე ლ ე კ ი, ი ა ს დ ო ქ ვ ა, ტ ა რ ნ ა ე რ შ ი, ტ ა პ ი ო ს ე ჩ ე, ბ ა-რ ლ ა ბ ი, მ ე ნ დ ე.

ბულგარეთის ჯარებმა, რომლებიც გერმანელთა წინააღმდეგ მოქმედებენ იუგოსლავიის ჯარებთან ერთად, ბრძოლით დაიკავეს იუგოსლავიის ტერიტორიაზე ქალაქი და რკინიგზის კვანძი ს კ ო პ ლ ე.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ.

14 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა დაიზიანეს და მოსპეს გერმანელთა 21 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 10 თვითმფრინავი.

16 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

16 ნოემბრის განმავლობაში უნგრეთში ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ი ს ა ლ ო ვ ა ტ ა ლ ა ნ ი, რკინიგზის საკვანძო სადგური ვ ა ჰ ო შ ო-დ ი ე რ ა ი, აგრეთვე დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ტ ი ს ა-ლ ა-დ ა ნ ი, ტ ა ქ ტ ა-ლ ა ღ ა, ო ნ ო დ ი, მ ა ლ ი ი, კ ი შ-დ ი ო რ ი, ბ ო რ შ ო დ ბ ე ლ ტ ი, ტ ა რ დ ი, ტ ა რ ნ ა ბ ო დ ი, ზ ა რ ა ნ კ ი, კ უ ს ტ ა-მ ო ნ ო შ ტ ო რ ი, დ ა ნ ი და რკინიგზის სადგურები მ ე-ზ ე ნ ე კ ი, კ უ ს ტ ა-მ ო ნ ო შ ტ ო რ ი, დ ი ო ზ გ რ ო.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ.

15 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა დაიზიანეს და მოსპეს გერმანელთა 10 ტანკი.

* * *

უნგრეთში ჩვენმა ჯარებმა გააფთრებული ბრძოლების შედეგად დაიკავეს მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდნაშენებენელოვანი დასაყრდენი პუნქტი — ქალაქი იასაროკალაში. ამ ქალაქის დაცვისას გერმანელებმა თავიანთი ქვეითი ჯარის დასახმარებლად გამოიყენეს ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ჩვენმა გვარდიულმა მსროლელმა ნაწილებმა, რომლებიც მოქმედებდნენ არტილერიისა და ტანკების დახმარებით, გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და იასაროკალაში შეიჭრნენ. დღის ბოლოსათვის ჩვენმა ჯარებმა ქალაქი დაიკავეს. ნ შენაერთის ნაწილებმა წარმატება განავითარეს და ჰიტლერელები განდევნეს რკინიგზის საკვანძო სადგურ ვამშდიერკოდან ბუდაპეშტიშუოლცის მაგისტრალზე. ხელთ ვიგდეთ რამდენიმე სარკინიგზო ეშელონი და საწყობები საომარ მასალიანად, სურსათიანად და სამხედრო ქონებიანად. სხვა უბნებზე მოწინააღმდეგე ცდილობდა უკუეგდო ჩვენი ჯარები, აღიდგინა მდგომარეობა და რამდენიმე კონტრიერიში მოიტანა. საბჭოთა ნაწილებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიშები და 600-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაანადგურეს. ხელთ ვიგდეთ 3 თვითმავალი ქვემეხი, 22 ტყვიამფრქვევი, 2 რადიოსადგური, 18 ავტომანქანა და აღალი საომარ მასალიანად.

დღის განმავლობაში ტყვედ წამოყვანილია 500-ზე მეტი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ქალაქ ოსტროლენკის სამხრეთ-დასავლეთით მოწინააღმდეგის დიდმა რაზმმა ნისლით ისარგებლა და ცდილობდა ბრძოლით დაეზვერა ჩვენი. პოზიციები. ნ ნაწილის მებრძოლებმა დროზე შეამჩნიეს მოახლოებული ჰიტლერელები და მან ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების სროლა აუტეხეს. როდესაც გერმანელები ჩაწვნენ, მათ საბჭოთა ნაღმმტყორცნელებმა დაუშინეს. მოწინააღმდეგემ სასწრაფოდ დაიხია უკან და ბრძოლის ველზე დატოვა თავისი ჯარისკაცებისა და ოფიცრების 100-ზე მეტი გვამი.

* * *

პრაგის (ვარშავის გარეუბანი) ჩრდილო-დასავლეთით საარტილერიო - სანაღმმტყორცნო სროლა სწარმოებდა. ერთ უბანზე ჩვენმა მეთვალყურეებმა შეამჩნიეს, რომ მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა კიდეზე თავს იყრიდა ქვეითი ჯარი. არტილერისტებმა ოფიცრების ეფიმოვისა და ვერშკოვსკის მეთაურობით, აგრეთვე ოფიცერ გორუნოვის ნაღმმტყორცნელებმა ცეცხლი დაატეხეს თავს მტრის დაგროვებულ ქვეითს ჯარს. ჰიტლერელებს ზარალი მოუვიდათ და გაფანტულ იქნენ.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ტორპედოსანმა თვითმფრინავებმა დანიგის ნავსადგურში იერიში მიიტანეს და ტორპედო მოანადრეს მოწინააღმდეგის 6 ათასი ტონაჟ წყალწყვის ტრანსპორტს, გერმანელთა ტრანსპორტი ჩაიძირა.

* * *

უნგრელთა მე-8 ქვეითს დივიზიაზე მიწეული მე-19 სარეზერვო პოლკის 1-ლი ბატალიონის ტყვე უნტერ-ოფიცერმა იანოშ ვოიჩეკმა ვეიამბო: „ახლა ბევრი უნგრელი დარწმუნდა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ისინი ვერაფერს ვერ მოიგებენ, მაგრამ წაგებით კი შეუძლიათ ძალიან ბევრი რამ წაგონ. ამას წინათ უნგრეთის სარდლობამ გამოაცხადა — ყოველი ჯარისკაცი, რომელიც საბჭოთა ერთ ტანკს მოსპობს, ხუთ ჰექტარ მიწას მიიღებსო. ჯარისკაცები ყოველნაირად დასცინოდნენ ამ ბრძანებას, ოფიცრებიც კი ამ ბრძანებას სულელურ ხრიკს ეძახიან“.

43-ე სარეზერვო პოლკის მე-5 ასეულის ტყვე ჯარისკაცმა იშტვან ფაბრიმ განაცხადა: „დამარცხებებმა, რომლებსაც გერმანიის ჯარები განიცდიან, საბოლოოდ დაგვარწმუნეს, რომ ომი გერმანიისათვის წაგებულია. ჩვენი პოლკის ჯარისკაცები ასე მსჯელობენ: წითელმა არმიამ გერმანელთა ჯარები უკუაგდო ვოლგიდან ტისამდე, კავკასიიდან ბუდაპეშტამდე და ვერავინ ვერ შეაძლო მასი შეჩერება. შემდგომი წინააღმდეგობა მხოლოდ უნგრეთის ქალაქების დანგრევას გამოიწვევს. უკანასკნელ დროს გახშირდა უნგრეთის არმიიდან დეზერტირობის ფაქტები. ბუდაპეშტსა და სხვა ქალაქებში გერმანელთა სამხედრო სასამართლოებს ჯგუფობრივად გამოაქვთ დაჭერილი უნგრელი ჯარისკაცებისათვის ჩამოხრჩობით სიკვდილით დასჯის განაჩენი“.

ფრონტის ერთ უბანზე წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდნენ ლეიტენანტი ფერენც სენტენში და უნგრეთის სამეფო ჯავალერიის დივიზიის ცალკე ბატალიონის მე-2 ასეულის 11 ჯარისკაცი. მათ საბჭოთა მებრძოლებს გადასცეს ვარგისი ავტომანქანა, 7 შაშხანა და ხელის ტყვიამფრქვევი. ლეიტენანტმა ფერენც სენტენშმა განაცხადა: „მხოლოდ თვალახვეული კაცი ვერ ხედავს, რომ გერმანია უფსკრულისაკენ მიეჭარბა. გერმანელებს სურთ ჩვენც ჩაგვითრიონ. მაგრამ ჩვენ არა გვსურს ჰიტლერისათვის დავიღუპოთ. მი წინადადება მივეცი ჩემს ჯარისკაცებს რუსების მხარეზე გადავსულიყავით. ისინი ხალისით დასთანხმდნენ ამ წინადადებას“.

გადაცემა სსრ კავშირის ორდენებისა და მედლებისა ნამსახურობისათვის

15 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. ნ. მ. შვერნიკმა მარშლებისა და გენერლების ჯგუფს გადასცა ორდენები და მედლები ნამსახურობისათვის.

წითელი დროშის ორდენები ჩაადაეცათ ავიაციის მარშლებს ფ. ა. ასტახოვს და ნ. ს. სკრიპკოს, ჯავშანსატანკო ჯარების მარშალს პ. ა. როტმისტროვს, არმიის გენერალ ა. ვ. ხრულევს, გენერალ-პოლკოვნიკებს პ. ა. არტემიევს, ვ. ე. ბელოუსოვს, არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ვ. ე. ტარანოვიჩს, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკებს გ. ბ. გურიანოვს, ა. ვ. ნიკიტინს, საინჟინრო-საავიაციო საძსახურის გენერალ-პოლკოვნიკ ა. კ. რეპინს, საინტენდანტო სამსახურის გენერალ-პოლკოვნიკ პ. ი. დრაჩევს, იუსტიციის გენერალ-პოლკოვნიკ ვ. ვ. ულრიხს, გენერალ-ლეიტენანტებს დ. ა. გაპანოვიჩს, ვ. კ. მორდვინოვს, საინჟინრო-საავიაციო საძსახურის გენერალ-ლეიტენანტ ა. ს. იაკოვლევს, ტექნიკური ჯარების გენერალ-ლეიტენანტებს მ. ვ. დანჩენკოს, ნ. ა. პროსვეტოვს, იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტ ნ. მ. რიჩკოვს, გენერალ-მაიორებს ა. ი. ბორისოვს, მ. ი. იზოტოვს, ავიაციის გენერალ-მაიორ პ. პ. კოზელევს, საინჟინრო-საარტილერიო სამსახურის გენერალ-მაიორ ა. ნ. სერგეევს, იუსტიციის გენერალ-მაიორ ი. ტ. ნიკიტჩენკოს, დივიზიის სამხედრო იურისტს ი. ტ. გოლიაკოვს, რომელმაც ამავე დროს მიიღო შრომის წითელი დროშის ორდენი, და დივიზიის სამხედრო იურისტს პ. ა. კამერონს;

წითელი ვარსკვლავის ორდენები—სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ბ. მ. კორობკოვს, სამედიცინო სამსახურის გენერალ-პოლკოვნიკ ე. ი. სმირნოვს და გენერალ-ლეიტენანტ ი. ი. ილიჩევს;

მედლები „საბრძოლო დამსახურებისათვის“ —გენერალ-პოლკოვნიკ ა. ა. შახურინს, საინჟინრო-საავიაციო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტებს პ. ვ. დემენტიევს, ა. ი. კუზნეცოვს, ტექნიკური ჯარების გენერალ-მაიორ ნ. გ. ჟუკოვს და ინჟინერ-პოლკოვნიკ ა. ი. ციპკოს.

ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ ამხ. ნ. მ. შვერნიკმა გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულ მარშლებსა და გენერლებს და უსურვა მალ წარმატებანი ომ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც დასახულია უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის მიერ წითელი არმიის წინაშე. (საკვლევი).

უკანასკნელი ცნობები

აჯანყების ცდა მიუნხენში

სტოკჰოლმი, 16 ნოემბერი. (საკვლევი). გაზეთი „აფტონბლადეტი“ გადმოგვცემს შვეიცარიულ გაზეთ „არბაიტერ ცეიტუნგის“ ცნობას, რომ მიუნხენში იყო აჯანყების ცდა, რის შედეგადაც ჰიმლერმა სიფრთხილის განსაკუთრებული ღონისძიებანი იხმარა. უკანასკნელ დროს გესტაპოელებმა დაახლოებით 70 ათასი კაცი დააპატიმრეს.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ბელგრადი, 16 ნოემბერი. (საკვლესი). სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ ჩერნოგორიაში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები განაგრძობენ ცეტინიედან პოდგორიცისაკენ უკანდახეულ ალმანელთა ჯარების დევნას. ალბანეთიდან უკანდახეული გერმანელთა ნაწილები კვლავ თავს იყრიან პოდგორიცა-დანილოვგრადის რაიონში.

ჰერცეგოვინაში კონტრშეტევაზე გადასულმა იუგოსლავიელთა ნაწილებმა დაიკავეს შუიცა და მოწინააღმდეგე შეავიწროეს დუვნოში.

დალმაციაში გრძელდება გაფთრებული ბრძოლები კნინის რაიონში.

ხორვატიაში ზაგრებ-ბელოვარის გზაზე დამარცხებულია უსტაშთა დიდი კოლონა.

ი. ბ. სტალინმა მიიღო ვარშავის მოსახლეობის დელეგაცია

15 ნოემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო ქალაქ ვარშავის დელეგაცია, რომელშიც შედიან ვარშავის პრეზიდენტი მ. სპიხალსკი და ვარშავის რადა ნაროდოვას (ნაციონალური საბჭოს) წარმომადგენლები ვ. ცუდნი, ვ. მალჩინსკი, ი. კოვალსკაია.

საბჭოთა მთავრობისადმი მადლობის ნიშნად იმ დახმარებისათვის, რაც მან პოლონელ ხალხს გაუწია, დელეგაციამ ვარშავის მოსახლეობისაგან ი. ბ. სტალინს გადასცა სიმბოლური საჩუქარი — პოლონეთის ბრინჯაოს ღერბი.

მ. სპიხალსკიმ და ი. ბ. სტალინმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

მ. სპიხალსკის სიტყვა

„მოქალაქე მარშალო!

ჩვენი დიდი მოკავშირე საბჭოთა კავშირის ნაციონალური დღესასწაულის — რუსეთის დიდი რევოლუციის 27-ე წლისთავის დღეს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავის ნაციონალურმა საბჭომ, პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, პროფკავშირებმა, სამღვდელოებამ, ვარშავის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ადადგინეს უღრმესი მადლობა გამოუცხადონ თავიანთ განმათავისუფლებელ წითელ არმიას და მის დიდ ბელადს მარშალ **სტალინს.**

მიღებულ იქნა დადგენილება — მოგიძღვნათ თქვენ, მოქალაქე მარშალო, სიმბოლური საჩუქარი—სახელმწიფო ღერბი, რომელიც პრაგა-ვარშავის მუშებმა მზრუნველურად შეინახეს ოკუპაციის სასტიკ დროს.

ეს დადგენილება ენტუზიაზმით მოიწონეს ვარშავის მოსახლეობის მასობრივმა მიტინგებმა. ეს არის მთელი ვარშავის სოლიდარობის გამოცხადება კრაიოვა რადა ნაროდოვას და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის პოლიტიკისადმი, ჩვენს მძლავრ სლავ მეზობელთან მჭიდრო კავშირისა და გულთადი მეგობრობის პოლიტიკისადმი.

ვარშავა პოლონელებისათვის არის გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ პოლონელი ხალხის შეუდრეკელი ბრძოლის სიმბოლო, ვარშავას არასოდეს არ შეუწყვეტია ბრძოლა, ხოლო ვარშავის ხალხი მუდამ ელოდა თავის განთავისუფლებას აღმოსავლეთიდან და საკუთარ ღონისძიებებს უერთებდა საბჭოთა კავშირის ხალხთა გმირულ ბრძოლას.

ვარშავა-პრაგა არა მარტო განთავისუფლებულ იქნა წითელი არმიისა და პოლონეთის ჯარის გაერთიანებული ღონისძიებებით, არამედ თავისი განთავისუფლებისთანავე უხვი დახმარება მიიღო მომძლე საბჭოთა კავშირისაგან.

პოლონური ანდაზა ამბობს: „ნამდვილი მეგობარი გასაჭირში იცნობაო“. ჩვენ ვიგრძენით თქვენი გულწრფელი მეგობრობა, მოქალაქე მარშალო, როგორც ბრძოლის დროს ჩვენთვის გაწეული დახმარებით, ისე ოკუპაციის დროს ვარშავის დამშეული მოსახლეობისათვის გაწეული დახმარებით.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ვარშავისა და მთელი პოლონეთის საბოლოო განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩვენ ძმური კავშირით შეკავშირებულნი ვიყვლით გამარჯვებისაკენ. ჩვენ გვწამს, რომ აღვადგენთ ჩვენს ქვეყანას ჩვენი დიდი აღმოსავლეთელი მეზობლის მეგობრული დახმარებით.

მოვსპობთ საერთო ღონისძიებებით ჰიტლერულ გერმანიას და შევქმნით დემოკრატიულ, სსრ კავშირის მეგობარ პოლონეთს, ავაღორძინებთ ჩვენს მშვენიერ ქალაქ ვარშავას და იგი წინანდელზე კიდევ უფრო ლამაზი იქნება“.

ი. ბ. სტალინის სიტყვა

საპასუხო სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

„პატივცემულო ბ-ნო სპიხალსკი!

პატივცემულო დელეგატებო!

მადლობით ვიღებ პოლონეთის დედაქალაქ ვარშავის ამ საჩუქარს, როგორც საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი პოლონელი ხალხის ძმური გრძნობების ნიშანს და როგორც ჩვენი საერთო მტრის—ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის მტკიცე საბრძოლო კავშირის სიმბოლოს“.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი. (საკვლესი).

ქალაქ ვარშავის საჩუქარი გადაეცა მოსკოვის საბჭოს

15 ნოემბერს ვარშავის დელეგაციამ ნიშნად მადლობისა საბჭოთა ხალხისა და მისი წითელი არმიის მიერ პოლონელი ხალხისა და ვარშავის მოსახლეობისადმი გაწეული დახმარებისათვის მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. პ. პრონინს გადასცა ვარშავის საჩუქარი საბჭოთა კავშირის დედაქალაქისადმი—პოლონეთის ბრინჯაოს ღერბი.

დელეგაციის მხრივ დაესწრნენ: ვარშავის პრეზიდენტი მ. სპიხალსკი და ვარშავის რადა ნაროდოვას (ნაციონალური საბჭოს) წარმომადგენლები ვ. ცუდნი, ი. კოვალსკაია, ვ. მალჩინსკი.

ბრინჯაოს ღერბის გადაცემას დაესწრნენ მოსკოვის საბჭოს აღმასკომის წევრები ამხანაგები პ. ვ. მაიოროვი, ა. ვ ასტაფიევი, პ. ვ. აბრამოვი, მ. ვ. სარიჩევა, მ. დ. პალიონინი, ტ. ა. სელივანოვი, გენერალ-მაიორი მ. ფ. კოროლიოვი, ქალაქ მოსკოვის მთავარი არქიტექტორი დ. ნ. ჩეჩულინი.

მ. სპიხალსკიმ და ვ. პრონინმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, რის შემდეგაც შესდგა მეგობრული საუბარი. (საკვლესი).

მეორთქლმავლეებმა შეინარჩუნეს გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანამ, როგორც ცნობილია, სექტემბერში მოიპოვა გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა. ოქტომბერში გაჩაღდა მუშაობა დროშის შენარჩუნებისათვის.

გუშინ მოვდა ცნობა, რომ გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა ოქტომბერშიც სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას ერგო.

ამასთან დაკავშირებით ქარხნის საამქროებში გაიმართა მიტინგები.

საკაგონო საამქროში მიტინგი გახსნა პროფორგმა ამხ. ა. გულიევმა. გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშის შენარჩუნების შესახებ და მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატების მუშაკთა მომართვ

დიდი სტალინის მოხსენების პასუხად

ახალი საწარმოო გამარჯვებებისათვის

ნეტერზე საბოლოო გამარჯვება წითელი არმიის გმირულ ბრძოლასთან შეერთებულ თავდადებულ შრომას შეეძლია გამოსჭედოს. —ამ შავებით არის გამსჭვალული თბილისის კალინინის საბელობის ქარხნის მთელი კოლექტივი. ეს შეგნება მუშათა ყოველდღიურ გმირულ შრომაში ისხამს ხორცს.

ბელადის საოქტომბრო მოხსენება ქარხნის კოლექტივის ახალი შრომითი მამაცობის წყარო გახდა. როცა მუშები დიდი სტალინის ბრძნულ მოხსენებას ისმენდნენ, ფიცი დასდეს: ენერგია არ დაიშურონ გამარჯვების მისაღწევად, წლიური გეგმა 15 დეკემბერს შეასრულონ, 250 ათასი მანეთის პროდუქცია მისცეს სამშობლოს გეგმის გადამეტებით, დაზოგონ ელექტროენერგია, სათბობი...

იკისრეს და უნდა შესრულდეს!—ქარხნის მოწინავე ადამიანები სტახანოვურ ვახტზე დგებიან, ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ ყველამ ერთად შესაძლებლობის მაქსიმუმი გაკეთოს სამშობლოს საკეთილდღეოდ, საბოლოო გამარჯვების მისაღწევად. გმირული შრომით აღსავსე დღის შედეგები მოგვითხრობენ ამ ადამიანთა საწარმოო წარმატებებზე.

საპატიო დაფას არ სცილდება ახალგაზრდა ზეინკლის პ. ხუციშვილის სახელი. ამ დღეებში იგი გაორკეცებული ენერგიით შრომობს. 450-500 პროცენტი — ასეთია მისი ყოველდღიური საწარმოო მაჩვენებელი.

ქარხნის ცნობილი შემდუღებელი ნ. რასტი 400 და მეტი პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ გეგმას. მღარავი ს. პანინი, ხარატი ნ. პალიარსკი და ქარხნის მთელი კოლექტივი იბრძვის ბელადისათვის მიცემული წმიდა ფიცის გასანაღდებლად.

დაძაბულად შრომობენ კალინინელები, რათა 1944 წელი, გადამწყვეტ გამარჯვებათა წელი, ახალ-ახალი საწარმოო გამარჯვებით დაამთავრონ.

დაზგათმშენებელთა სიზუსტე და საქმე

როდესაც 26 კომისრის სახელობის ქარხანაში ბელადის საოქტომბრო მოხსენება მოისმინეს, მუშებმა ერთსულოვნად განაცხადეს: წლიურ გეგმას შეასრულებთ 11 თვეში და დედასამშობლოს გეგმის გადამეტებით მივცემთ 600,000 მანეთის პროდუქციას, თვითღირებულებას შევამცირებთ 2.5 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებას გავზრდით 10 პროცენტით, დავზოგავთ 20,000 კილოვატ-საათ ელექტროენერგიას.

გაიშალა ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. სარეკორდო მაჩვენებლებს იძლევიან სტახანოველები. მჭედელი ვ. კორძაძე ყოველდღიურ გეგმას 700-1,000 პროცენტით ასრულებს. წარმატებით მუშაობს მეყალიბე მირზოევიც, რომელიც სისტემატურად 11-12 ნორმას იძლევა. თავდადებით შრომობენ ქარხნის სხვა სტახანოველებიც: შჩერბინინი, ჯოხონელიძე, ტოკაშვილი და სხვ. ისინი გეგმას 300-400 პროცენტით ასრულებენ.

ქარხნის კოლექტივს ერთი მიზანი ამოძრავებს: შეასრულოს გეგმა ვიდაზე ადრე, უპატაკოს ბელადს: სიტყვა შესრულებულია.

ისინი პირობას ასრულებენ

პლაკატებით, ლოზუნგებით და სურათებით მორთულ კლუბს ლამაზად გაფორმებული საპატიო დაფა ამშვენებს. მის ირგვლივ სასადილო შესვენების საათებში იკრიბებიან ხორცკომბინატის მოწინავე ადამიანები, რათა გაიგონ, თუ ვინ მიიღის წინ დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენების პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში. დღეს დაფაზე შეტანილია 19 სტახანოველი

სამუხვე საამქროს ბრიგადირი ამხ. ი. რაზმაძე, რომელმაც ვალდებულება იკისრა 30 პროცენტით გადაჭარბოს ნოემბრის დავალებას, 10 ნოემბრიდან მოყოლებული დღემდე 165-170 პროცენტით ასრულებს გეგმას. ახალგაზრდული ფრონტული ბრიგადა, რომელსაც კომკავშირელი ამხ. ნ. ჩერნეხინა ხელმძღვანელობს, დავალების 330 პროცენტით ასრულებს. საპნისმხარეველი ოსტატი ამხ. ს. ვოსკანოვი, რომელმაც იკისრა ერთნახევარი ნორმის გამომუშავება, დავალებას მუდამ 230-240 პროცენტით ასრულებს. ასევეა ნაყოფიერებით მუშაობენ სტახანოველები ამხ. ნ. ილინსკი, შ. ფოცხიშვილი და პ. სამორნესკო, რომლებიც მუდამ ორ ნორმასა და უფრო მეტს იძლევიან.

— მოწინავე სტახანოველები, — ამბობს ხორცკომბინატის დირექტორი ამხ ქავთარაშვილი,—ოქტომბრის დღეებში აღებულ ტემპებს აძლიერებენ და პირნათლად ასრულებენ ბელადის მოხსენების პასუხად ნაკისრ ვალდებულებებს. ყოველმა სტახანოველმა საპატიო ამოცანად დაისახა განამტკიცოს ამ დღეებში მიღწეული წარმატებები და გეგმის გადამეტებით ათითოსობით ძახეთის პროდუქცია მისცეს ფრონტსა და სამშობლოს. ამავამად კომბინატი ყოველდღე გეგმის გადამეტებით 6,000 მანეთის პროდუქციას იძლევა.

ახალი ძალით შეუდგნენ მუშაობას

დუშეთი („კომუნისტის“ კორესპონდენტი-საგან). საკოლმეურნეო სოფელში დიდი აღმავლობაა. სამშობლოს პატრიოტები იბრძვიან სასოფლო სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის.

სოფელ მუჭადიჯვრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას წელს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. სახელმწიფო ვალდებულებები შესრულებულია. გაიზარდა კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა შემოსავალი. კოლმეურნეები შრომადღეზე 6 კილოგრამამ მარცვლეულს, მეცხოველეობის პროდუქტებს და ფულს მიიღებენ. დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენების პასუხად კოლმეურნეობამ იკისრა გეგმის გადამეტებით დათესოს 10 ჰექტარი მარცვლეული, გადაჭარბებით შეასრულოს ზრალად ხვნის გეგმა, 1945 წლის ანგარიშში სახელმწიფოს ჩააბაროს ხორცი და სხვა პროდუქტები.

დ. ჭონქაძის სახელობის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებმა გეგმის გადამეტებით უკვე დასთესეს 8 ჰექტარი პურეული, ხეობის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებმა — 22 ჰექტარი, დუშეთისამ — 6, ხოლო ლაფანაანთკარისამ — 18 ჰექტარი. თესვა გრძელდება. მთავრდება მზრალად ხვნაც. გაცხოველებით მუშაობენ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის. დამთავრდა 15 ახალი სტანდარტული ბინის მშენებლობა. შეკეთდა 100-ზე მეტი სადგომი. ყიზლარში ცხვრისათვის დამატებით დამზადდა 10,000 ცენტნერი თივა.

წარმატებით მიმდინარეობს სამხედრო მსახურთა ოჯახების დახმარების კვირეული. შეგროვებულია 21 ტონა მარცვლეული, 500 კუბური მეტრი შეშა, 100,000 მანეთი ფულად, 40 ტონა საქონლის საკვები.

გეგმების შესრულება

მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 10,000 ცენტნერი ყურძენი. ყურძნის დამზადების გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს მაიაკოვსკის, ვარციხის, როხისა და საკრეულოს სასოფლო საბჭოებში შემავალმა კოლმეურნეობებმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი პ. ნანიტაშვილი
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტ. ენდელაძე

* * *

ლაგოდეხი („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეობებმა საშემოდგომო ხვნა-თესვა დაამთავრეს, გეგმა შეასრულეს 100,2 პროცენტით. თესვის ადრე დამთავრებით თავი ისახელეს ორჯონიკიძის, შრომის და მთელი რიგი სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა.

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოშვა 30 ტონა ჩაი. ფაქტიურად 1 ნოემბრისათვის გამოუშვა 37,4 ტონა. ფაბრიკაში გაცხოველებით მიმდინარეობს მზადება 1945 წლის სეზონისათვის.

ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის დირექტორი
დ. ცინცაბაძე

* * *

აბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა 15 ნოემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის ოთის საკადებულო ჩაბარებისა და მტა-ების სამუშაოები ნატურანაზღაურებას გეგმა.

კოლმეურნეებმა იკისრეს გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს ჩაბარონ 100 ტონა სიმი.

სამშობლოს დამცველთა ოჯახების დახმარების კვირეული

ქუთაისი

10 ნოემბრს ქუთაისში დაიწყო სამშობლოს დამცველთა ოჯახებისათვის დახმარების კვირეული. მშრომელებს გულუხვად შეეკვეთ ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდში თავიანთი დანაზოგი. იმ უბანში, სადაც საუბნო კომიტეტის თავმჯდომარეა ამხ. ან. ჭეიშვილი, 14 ნოემბრისათვის შეაგროვა 3.725 მანეთი. დიასახლისებმა შურა ხელაძემ, მარო კოპეიკინამ, ნინო ჩახავამ სამშობლოს დამცველთა ოჯახების სასარგებლოდ შეაბანეს 200 მანეთი თვითეულმა, ხოლო ფრონტელთა დედებმა გუგუ ცაგარეიშვილმა და ელეკო ბოსელიანმა — 300-300 მანეთი.

სამტრესტის ქუთაისის განყოფილების მუშამოსამსახურეებმა ფრონტელთა ოჯახების დახმარებისათვის 4.500 მანეთი შეაგროვეს. 400-400 მანეთი შეიტანეს სამშობლოს დამცველთა დახმარების ფონდში გ. ჩარკვიანმა და ს. ნიკურაძემ.

ქუთაისელმა მასწავლებლებმა, რომლებიც დიდი ხალისით გამოეხმაურნენ ამ საყოველთაო სახალხო საქმეს, 14 ნოემბრამდე შეაგროვეს 37,442 მანეთი. საბჭოთა სახლების მასწავლებლებმა და ტექნიკურმა პერსონალმა სამშობლოს დამცველთა ოჯახების დახმარების ფონდში 11,175 მანეთი შეიტანეს, ხოლო ბიბლიოთეკების თანამშრომლებმა—2 120 მანეთი.

მასწავლებლებმა ივ. წულეისკირმა, ნ. ჭავჭანიძემ, ანა გოცაძემ, სიმონ ყენიამ შეიტანეს 200-200 მანეთი, თამარ დახუნდარიძემ — 175 მანეთი, ლუბა ბენიამვილმა — 160 მანეთი.

კვირეული გრძელდება. ქუთაისელი მშრომელები ეხმარებიან სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს.

რ. გელოძე
(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

ჭიათურა

ტყიბულის რაიონის წარმოება-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს სამხედრო მსახურთა ოჯახების დახმარების კვირეული. სტალინის სახელობის შახტში კვირეულის პირველ სამ დღეს საცხოვრებელი ბინა შეუკეთეს 21 წითელარმიელის ოჯახს და შეაგროვეს 50 ათასი მანეთი. ძმაისისა და კისორეთის კოლმეურნეობებში თვითეულმა კოლმეურნემ 15-25 კილოგრამი სიმინდი შეიტანა ფრონტელთა ოჯახების დახმარებას ფონდისათვის. ძმაისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ლომთათიძემ და კიაორეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალექსანდრე ციოკიძემ 25 კილოგრამი სიმინდი შეიტანეს თვითეულმა. სოფელ სოჩხეთის კოლმეურნეებმა შეაგროვეს 675 კილოგრამი სიმინდი და 13 მებრძოლის ოჯახს შეუკეთეს ბინა.

დ. ქათამაძე
(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

ზუგდიდი

15 ნოემბრამდე კოლმეურნეებმა სამხედრო მსახურთა ოჯახებს დახმარების ფონდისათვის შეიტანეს 32 ტონა მარცვლეული და 27,100 მანეთი. ფრონტელთა 50 ოჯახს შეუკეთდა ბინები. უფასოდ მიხიდულია შეშა 406 ოჯახისათვის.

კვირეული განსაკუთრებით კარგად მიმდინარეობს ზედა საზანოს, თუზისა და რუფოთის სასოფლო საბჭოებში. სოფელ ზედა საზანოს კოლმეურნეობის წევრებმა დახმარების ფონდისათვის შეიტანეს 4.200 კილოგრამი მარცვლეული, 25,000 მანეთი და 140 ოჯახს მიუზიდეს შეშა. თუზელმა კოლმეურნეებმა შეაგროვეს 4 ტონა მარცვლეული, 18,000 მანეთი და 18 ოჯახს ბინები შეუკეთეს. რუფოთელმა კოლმეურნეებმა შეიტანეს 4,000 კილოგრამი სიმინდი, 24,800 მანეთი და 40 ოჯახს შეშა მიუზიდეს.

დ. კაჭკაჭიშვილი
(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

ორდენით „გმირი დედა“ დაჯილდოებული მარიამ ფრიდონაშვილი (მარცხნივ) და მისი თერთმეტი შვილი: სონია, ანიკო, ნინა (ზემოთ), ბარბალე, მიხეილი, თამარი (შუაში), ლილი, მერი, ლენა, გოგი და ვახტანგი (ქვემოთ). ფოტო ფ. აკოფოვისა

მარიამ ფრიდონაშვილი

მცხეთა („კომუნისტის“ კორესპონდენტი-საგან). უსაზღვრო სიხარულს განიცდის მარიამ ფრიდონაშვილი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იგი „გმირი დედის“ ორდენით დაჯილდოვა.

თერთმეტი შვილი აღუზარდა მარიამმა სოციალისტურ სამშობლოს. უფროსი ქალიშვილი სონა საგურამოს ვეტერინარული ტექნიკუმის მესამე კურსის ფრიადოსანი მოსწავლეა. თავისუფალ დროს იგი კოლმეურნეობას ეხმარება პირუტყვის მოვლის საუკეთესოდ დაყენებაში. მიმდინარე წელს საზაფხულო არდადეგების დროს სონამ კოლმეურნეობაში 80-მდე შრომადღე გამოიმუშავა.

სონას მომდევნო ანიკო გათხოვილია მეზობელ სოფელში. ის დაუღალავად მუშაობს საკოლმეურნეო მინდვრებზე და ამით ეხმარება ფრონტსა და ჩვენს სამშობლოს.

უმცროსი შვილები — ნინო, ბარბალე, მიხეილი და თამარი სწავლობენ საგურამოს არასრულ საშუალო სკოლაში. ნინო 16 წლისაა, მე-5 კლასის მოსწავლეა, ფრიადებზე სწავლობს. თავისუფალ დროს ეხმარება კოლმეურნეობას. 14 წლის ბარბალე მე-4 კლასშია, ისიც კარგად სწავლობს. წელს მან იმუშავა თავთავების აკრეფაზე მოსავლის აღების დროს.

მიხეილი მე-3 კლასის მოსწავლეა. ზათხულში იგი მიხრიდ მუშაობდა ბუთნეულზე და 60-მდე შრომადღე გამოიმუშავა. თამარი ბეჯითად სწავლობს 1-ლ კლასში. ლილი, მერი, ლენა, გოგი და ვახტანგი, როგორც არასაკოლო ასაკისანი, ჯერ დედასთან არიან სახლში.

ზეიმია დღეს მარიამის ოჯახში. „გმირი დედის“ ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით მასთან მოსალოცად მივიდნენ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, კოლმეურნეები, მარიამისა და მისი შვილების ამხანაგები და მეგობრები. შესდგა მიტინგი, რომელიც გახსნა მშრომელთა დეპუტატების მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ნ. მელიქიშვილმა. სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის მდივანი ამხ. მ. ქართველიშვილი.

პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა მარიამ ფრიდონაშვილმა. მან ილაპარაკა, თუ რამდენი შრომა გაუწევია, რამდენი უძილო ღამეები უთენებია 11 შვილის გამოზრდაში, რამდენი სიხარული მიუცია მისთვის შვილებს.

— ზამთრის სუსხიანი ღამე იყო, სონას ციცხე მისცა. მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, საკმარი იყო ექიმი, რომელიც მაშინ მხოლოდ მცხეთაში, ჩვენი სახლიდან 10 კილომეტრის დაშორებით იმყოფებოდა. ძნელი იყო ქალისათვის ქარბუქიან წყვდიადღამეში მცხეთაში ჩასვლა, მაგრამ შვილის სიყვარულმა ყველაფერს სძლია. ექიმი იმ ღამესვე ამოვიყვანე. ჩემი ქალი სიკვდილს გადურჩა. ბედნიერი ვარ, თერთმეტი შვილი ჯანაღი მყავს და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით ვზრდი.

საბჭოთა მთავრობამ დიდი პატივი დამდო—მომანიჭა „გმირი დედის“ საპატიო წოდება, ვამაყობ ამით. მადლობა დიდ სტალინს ბედნიერი დედობისათვის, არ დავიშურებ ენერგიას და თვით სიცოცხლესაც საყვარელი სამშობლოსათვის, მომავალი თაობა სასახელოდ აღზრდისათვის.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა სტახანოველი კოლმეურნე, 9 შვილის დედა მარიამ პარკაული.

— ჩემი შვილი სიმონი — პატივცემა მან, — ორდენოსანი მფრინავია, მამაცურად სპობს ჰიტლერელებს. პირობას ვიძლევი ბუერგში თავდადებული შრომით აღვზარდო ჩემი შვილები სამშობლოს გმირ დამცველებად.

სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე გმირი დედის უფროსი ქალიშვილი სონა, კოლმეურნე ქალი ქ. ბიჩინგაური, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. პ. სოხაშვილი და სხვები. რომლებმაც იკისრეს ვალდებულებანი საკოლმეურნეო გეგმების გადაჭარბებით შესრულებით დიხმარონ გმირ წითელ არმიას ვერაგი მტრის საბოლოო განადგურებაში.

აკ. ქირია

ი. კრილოვის საიუბილეო კრებული

ი. კრილოვის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო დღეებში ქართულ ენაზე გამოდის კრილოვის იგავ-არაკების სრული კრებული, რომელიც შეიცავს 200 ლექსს. აქედან უმეტესი ნაწილი თარგმნილია ალაკი წერეთლის, რ. ერისთავის და გ. ორბელიანის მიერ, ხოლო 41 ლექსი — თანამედროვე პოეტების. ა. ცაბაშელის, დ. გაჩეჩილაძის, ი. გრიშაშვილის, ვ. გორგაძის, ხ. ფარფოშვილის, იასამანის, მარჯანის, ი. მოსაშვილის, გ. ცეცხლაძისა და კ. ჭიჭინაძის მიერ.

კრებული გამოდის ი. გრიშაშვილის და პ. ინგოროყვის რედაქტორობით. მას წამძღვარებული აქვს ორი წერილი: პროფესორი ს. დანელია — „ი. კრილოვის ცხოვრება და შემოქმედება“ და ი. გრიშაშვილი — „ი. კრილოვი ქართულ ლიტერატურაში“. წიგნს თან ერთვის ნუსხა ი. კრილოვის არაკების დაწერისა და ქართულად თარგმნის თარიღების აღნიშვნით. ი. კრილოვის საიუბილეო გამოცემა გააფორმეს მხატვრებმა დ. და გ. ქუთათელაძეებმა.

„პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხები“

სახელგამის პოლიტიკური ლიტერატურის სექტორმა პარტიული მუშაკის დასახმარებლად გამოსცა ბროშურა „პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხები“ (მეორე გამოშვება). ბროშურა შეიცავს მკითხველთა შეკითხვების პასუხებს, რომლებიც დაიბეჭდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ეუურნალ „პარტიინოე სტროიტელსტვოში“.

ამერიკაში აღმოჩენილია ძველი ქართული ხელნაწერი

აკადემიკოს ა. შანიძეს მოუვიდა ცნობა ჰარვარდის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორ რობერტ ბლეიკისაგან, რომელიც იტყობინება, რომ დიდი ხანი ყოფილა, რაც მან ქალაქ ნიუტონში (ბოსტონის ახლო, მასაჩუზეტსის შტატში) აღმოაჩინა ქართული ხელნაწერი მე-X საუკუნისა. ხელნაწერი წარმოადგენს ოთხთავს — სახარებას — და გადაწერილია ბერძნულიდან (მონასტერი კლარჯეთში, ჭოროხის ხეობაში, ამჟამად თურქეთში).

ხელნაწერი შეუძენიათ 115 წლის წინათ — 1830 წელს ამერიკელ მისიონერებს სმიტს და დვაიტს და გაუტანიათ ამერიკაში.

ბერთის ოთხთავში მოიპოვება მინიატურები და მრავალი მინაწერი, რომელთაგანაც ძთავარია გადამწერის „ანდერძი“, სადაც მოხსენებულია ერისთავთა ერისთავი სუმბატ არტანუჯელი (გარდაიცვალა 989 წ).

ახლად აღმოჩენილ ხელნაწერს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიისა და ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლისათვის. (საქდესი).





ამერიკაში ახლად აღმოჩენილი ძველი ქართული ხელნაწერის ფოტორეპროდუქცია.

დეპეშები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 16 ნოემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ შეტევას ვეერტის რაიონში (ჰოლანდია) და 7 ათასი ტყვე წაიყვანეს წინ.

ეწმეიილერ-ლანდორფის რაიონში (ლოტარინგია) მოგერიებულია მოწინააღმდეგის კონტრიერაშები. მოკავშირეთა ჯარები იმყოფებიან მორკინჰეინში, ბარონვეილერში, ჰებლინგში და მარსალის რაიონს მიაღწიეს.

ბაკარის ჩრდილო-აღმოსავლეთით მძიმე ბრძოლების შემდეგ განთავისუფლებულია სენტ-პოლი. მუდმივი მიწოლა გერმანელებს აიძულებს დაუყოვნებლივ დაიხიონ უკან ბრიუერის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ბელფორის რაიონში მოკავშირეთა ჯარებმა რამდენიმე მოლით წაიწიეს წინ მდინარე დუს ხეობაში.

ძმიმე ბომბდამშენები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით თავს დაესხნენ სინთეზური საწვავის ქარხანას დორტმუნდში. 15 ნოემბერს საუამ ... ბერს ... ...